თქვენს მიერ გადმოგზავნილი წერილის 30/07/2018. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პასუხზე გიგზავნით საპროექტო ორგანიზაციის პასუხს.

ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს უფროსის ანდრე ქუჯაიძის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურისადმი გაგზავნილი წერილის, რომელიც შეეხება, ჩვენს მიერ შესრულებული შპს ალთენის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული აირსავსები საკომპრესორო სადგურის რეკონსტრუკციის პროექტის განხილვის შედეგებს, პასუხად გაცნობებთ, რომ ჩვენი აზრით:

1. ზემოთ აღნიშნული სამსახურის სპეციალისტის მიერ პროექტის განხილვის მაგივრად ჩატარებულია პროექტირებისათვის საჭირო ტექნიკური ნორმების შერჩევის პროცედურა და აშშ-ში მოქმედი სტანდარტების ნაცვლად რუსული СП-156.13130 2014 დაგვიდგინეს რაც საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი,,-სა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილების უხეში დარღვევაა.

2. ჩვენ ვართ პროექტის ავტორები და ჩვენ ვღებულობთ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს როგორც ამ დარგის სპეციალისტები და ამასთანავე ვირჩევთ რეგლამენტსა და სტანდარტებს, საქართველოს კანონის ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად.”

1. პროექტის განმარტებითი ბარათი იწყება იმით, რომ პროექტირების დროს გამოყენებულია აშშ-ში მოქმედი ნორმები რომლებიც აღიარებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №50 დადგენილებით.
   აღსანიშნავია ისიც რომ ამ დადგენილებით აღიარებულია და დაშვებულია გამოსაყენებლად 37 ქვეყნის ტექნიკური რეგლამენტები და ამ სიაში რუსეთი საერთოდ არ არის.

3. საბჭოთა კავშირში ავტოგასამართი კომპლექსური სადგურის СНИП-ი არ არსებობდა და არარსებული СНИП-ის მოდიფიკაციად თვით რუსებისთვისაც კი გაუგებარი სტატუსისა და ფუნქციის (СП- СВОД ПРАВИЛА არც რეგლამენტია და არც სტანდარტი) 2014 წლის СП-156.13130-ის გამოცხადება და საპროექტოსთვის მისი გამოყენების თავზე მოხვევა, რბილად რომ ვთქვათ, დაუშვებელია. სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტი მიიღება მხოლოდ კანონით, პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში, რომელიც ადგენს ტექნიკური რეგლამენტის მიზანს და მოქმედების სფეროს.

ამასთან ერთად კვლავ ავღნიშნავ, რომ რუსეთის ნორმები საქართველოში აღიარებული არ არის. და ვციტირებ 2014 წლის 14 იანვრის №52 დადგენილების ტექსტს

- „შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მიღებამდე, აღიარებული და საქართველოს ტერიტორიაზე დროებით სამოქმედოდ დაშვებული იქნეს ყოფილი საბჭოთა კავშირის 1992 წლამდე მოქმედი და შემდგომ პერიოდში მოდიფიცირებული სამშენებლო ნორმები და წესები, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები და მათი ის ნაწილები, რომელთა ალტერნატივა არ არსებობს საქართველოში მიღებული

ტექნიკური რეგლამენტების ან სხვა ნორმატიული აქტების სახით და რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
-ასეთი ტიპის დოკუმენტს СП-156.13130 2014 არ მიეკუთვნება. მით უმეტეს, რომ საქართველოში უკვე არსებობს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N60 დადგენილება „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილება „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომც მიეკუთვნებოდეს, ამას მაინც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან პროექტირების დროს გამოყენებულია აშშ-ში მოქმედი ნორმები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია განსახილველი ტექნოლოგიური პროექტის განმარტებით ბარათში და განხილვაც უნდა მოხდეს ამ ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად. აღნიშნული პროექტის გრაფიკულ ნაწილში ცალკე ფურცელზე გამოყოფილია უსაფრთხოების ზონები, თავისი მოქმედების რადიუსებითა და ნორმების შესაბამისი პუნქტების ჩვენებით.

რაც შეეხება წერილის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება გამოყენებულ სტანდარტებს ტექსტი დაცულია:

„იმ შემთხვევაში, თუ დაპროექტებისას გამოიყენება ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების (ნუსხის შესაბამისად) ტექნიკური რეგლამენტები (სტანდარტები), ამ შემთხვევაში დაპროექტების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ამ დოკუმენტის მთლიანი (მათ შორის დოკუმენტში გამოყენებული გადამისამართებული სტანდარტების), ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი და არა მისი რომელიმე პუნქტის ქართულად ნათარგმნი ფრაგმენტი.“
ბატონ ანდრე ქუჯაიძეს მოუწევს პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე:

1. რომელი კანონი აძლევს მათ ასეთი მოთხოვნის დაყენების უფლებას, რომ კერძო პირმა უნდა მოამარაგოს სახელმწიფო მის მიერ აღიარებული 36 ქვეყნის ტექნიკური ნორმატივების კვალიფიციური თარგმანებით?
2. რამდენად სერიოზულია? ურთულესი ტექნოლოგიისა და მომეტებული საფრთხის შემცველი ასაშენებელი ობიექტების პროექტირების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელი ტექნიკური დოკუმენტები ნოტარიუსის ბეჭდის იმედზე მიიღოს სახემწიფომ, აღიარებული ორიგინალი დოკუმენტების სანაცვლოდ?

3. ერთი და იგივე დოკუმენტის, რამდენიმე ინვესტორის მიერ ერთმანეთისაგან განსხვავებული თარგმანების წარმოდგენის შემთხვევაში ვინ გადაწყვეტს მათ შორის რომელია მისაღები თუკი სახელმწიფო ორგანოს თავისი თარჯიმნები და სპეციალისტები არა ჰყავს.?

4. რატომ არ მოითხოვს ბატონი ქუჯაიძის უწყება საჭირო ნორმატივებით მომარაგებას? მათ შორის სახელმწიფო დონეზე აღიარებული თარგმანების სახით, ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოსაგან, რომელსაც მთელი დეპარტამენტი გააჩნია მსგავსი ფუნქციითა შესაბამისი დაფინანსებით.

5. თუკი საქართველოსათვის უცხო ენაზე შედგენილ კოდექსებს სჭირდება თარგმნა სახელმწიფო ენაზე, რუსული ენა როდის გახდა სახელმწიფო ენა?!

ჩვენ მიგვაჩნია რომ წერილში გამოთქმული შენიშვნები და მოთხოვნები არამართებულია და არაკვალიფიციური.
მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების პროექტირებისა და მშენებლობის პროცესების კონტროლისათვის არსებობს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო რომელსაც შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები ჰყავს და მათთან პროექტი შეთანხმებულია.

უკეთესი იქნება თუ აღნიშნული სამსახურის სპეციალისტები განხილვის დროს ჩვენც მიგვიწვევენ და მათთვის საინტერესო კითხვებზე უშუალოდ ჩვენგან მოისმენენ განმარტებებს.